

**რეკომენდაციები**  
**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის**

**სარჩევი**

წინასიტყვაობა.....	2
მოდულებისმომზადებადასამტკიცებლად.....	2
რეკომენდაციები მოდულის დამტკიცებასთან დაკავშირებით.....	13
მოდულის განხორციელებისათვის მომზადება.....	16
არჩევით მოდულებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.....	18
I. არჩევითი მოდულების დანიშნულება.....	18
II. არჩევითი მოდულების საჭიროება.....	19
III. სპეციალიზებულიარჩევითიმოდულებისშექმნისსაფუძველი.....	20
უცხოური ენის მოდულთან დაკავშირებული რეკომენდაციები.....	21
პროგრამის მომზადება დასამტკიცებლად.....	22
პროგრამის დამტკიცება.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
თანამშრომლობა მოდულების განხორციელებისას.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
ტექნიკური აღჭურვილობა.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
განმარტებები სასწავლო გარემოს მოდელებთან დაკავშირებით.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
მასალები და ნედლეული.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
არსებული დამხმარესივრცის გამოყენება სასწავლო სივრცედ.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>

სხვადასხვა პროგრამის/მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება ..... **Error! Bookmark not defined.**

დამატებითი რეგულაციების საჭიროება ..... **Error! Bookmark not defined.**

### წინასიტყვაობა

წინამდებარე რეკომენდაციები შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა გან ვითარების ხელშეწყობის პროგრამის პერსონალი, საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ექსპერტ-ფასილიტატორები. რეკომენდაციები მოიცავს როგორც მითითებებსა და განმარტებებს, ისე პასუხებს დანერგვასთან დაკავშირებულ შეკითხვებზე, რასაც დაინტერესებული მხარეებისაგან ვიღებთ.

რეკომენდაციები აგრეთვე დახმარებას გაუწევს დანერგვის ფასილიტატორებს და ავტორიზაციის ექსპერტებს დაწესებულებებში მათი ვიზიტების დროს.

წინამდებარე ვერსია მოიცავს რეკომენდაციებს 2015 წლის ივნისამდე იდენტიფიცირებულ საკითხებზე, თუმცა შემუშავებული ჯგუფი გააგრძელებს მუშაობას და მასში ასახავს დამატებით რეკომენდაციებს დანერგვისათვის მზადების ან პროგრამების განხორციელებისას წამოჭრილ საკითხებზე, რის შესახებაც ნებისმიერ პირს შეუძლია მოგვწეროს ელ-ფოსტით: [modulebisdanergva@gmail.com](mailto:modulebisdanergva@gmail.com)

მოდულებისმომზადებადასამტკიცებლად

ქვემოთ წარმოდგენილია მოდულის ჩარჩო. მასში წითელი ფერის შრიფტითაა მოცემული ის ნაწილი, რომლის ცვლილებაც დასაშვებია დაწესებულების მიერ, ხოლო მწვანე ფერის შრიფტით- დაწესებულების მიერ შესაძლებელი ნაწილი. ჩარჩოს ერთვის განმარტებები თითოეულ საკითხთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამის დანართი N ----

საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება  
პროგრამის სახელწოდება  
მოდულის სტატუსი: სავალდებულო/არჩევითი

მოდული

რეგისტრაციის ნომერი

---

სახელწოდება:

ვებ საიტის მარკირება - html

---

გამოქვეყნების თარიღი:

---

კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობა:

მესამე

I ზოგადი ინფორმაცია:

მოცულობა კრედიტებში:

3

მოდულოზე დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

მოდულის აღწერა:

მოცემული მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია :

- ვებ გვერდის სტრუქტურის აგება
- ვებ გვერდზე ობიექტების და ბმულების ასახვა
- ვებ გვერდზე ფორმების ასახვა
- შექმნილი ნამუშევრის ხარისხის უზრუნველყოფა W3C სტანდარტების შესაბამისად

## II სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები სტუდენტს შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	მტკიცებულებები
--------------------------------------	-------------------------	------------------------------------	----------------

<p>1. ვებ გვერდის სტრუქტურის აგება</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწორად აანალიზებს ვებ გვერდის დიზაინსა და ინტერაქციას</li> <li>2. აკეთებს განაცხადს სამუშაოს/დავალების შესრულებისათვის საჭირო მასალების შესახებ</li> <li>3. სწორად ირჩევს გამოსაყენებელ ტექნოლოგიებს</li> <li>4. სწორად აყალიბებს კოდის წერის ეტიკას</li> <li>5. ქმნის ვებ გვერდის <b>მაკეტს ვებ სტანდარტების</b> მოთხოვნათა დაცვით</li> <li>6. ქმნის ვებ გვერდის <b>სტრუქტურას</b> მიღებული დავალების შესაბამისად</li> <li>7. ინახავს ვებ გვერდის მაკეტს შესაბამის ფორმატში</li> <li>8. ამოწმებს შექმნილ მაკეტს <b>წამყვან ბროუზერებში</b></li> </ol>	<p><b>მაკეტის ტეგები:</b> doctype, html, head, title, meta, body</p> <p><b>ვებ სტანდარტი - W3C</b> - მსოფლიო ვებ სტანდარტიზაციის კონსორციუმი - (World Wide Web Consortium)</p> <p><b>სტრუქტურის ტეგები:</b> h1-6, p, br, ul, ol, li, dl, dt, dd, div, span, strong, em, sub, sup, abbr, q, blockquote, pre.</p> <p><b>წამყვანი ბროუზერები:</b> Google Chrome, Opera, Mozilla Firefox, Safari, Internet Explorer.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება(1,3,4);</li> <li>2. პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება(2,5-8).</li> </ol>
<p>2. ვებ გვერდზე ობიექტების და ბმულების ასახვა</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწორად ჩამოთვლის <b>გრაფიკული ობიექტის ფორმატებს</b></li> <li>2. სათანადო პოზიციაზე განათავსებს გრაფიკულ ობიექტს</li> <li>3. სწორად აღწერს <b>ობიექტის პარამეტრებს</b></li> <li>4. ვებ სტანდარტების შესაბამისად საზღვრავს განთავსებული ობიექტის პარამეტრებს</li> <li>5. სწორად ასახელებს ბმულის <b>ტიპებს და მის პარამეტრებს</b></li> <li>6. ქმნის შესაბამისი ტიპის ბმულებს დავალებით განსაზღვრულ ობიექტებზე აგებს <b>ცხრილს</b> ამოცანის შესაბამისად</li> <li>8. სწორად ასახავს <b>მულტიმედია ობიექტებს</b> ვებ გვერდზე</li> </ol>	<p><b>გრაფიკული ობიექტის ფორმატები:</b> jpg, gif, png</p> <p><b>გრაფიკული ობიექტის პარამეტრები:</b> alt, title, width, height, src, border</p> <p><b>ბმულის ტეგი და პარამეტრები:</b> a, target, href, title, name</p> <p><b>ცხრილის ტეგები:</b> table, caption, th, tr, td.</p> <p><b>ცხრილის პარამეტრები:</b> colspan, rowspan, border</p> <p><b>მულტიმედია ობიექტების ტეგები:</b> audio, video, object, embed</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1,3,5);</li> <li>2. პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება (2,4,6,7,8).</li> </ol>

<p>3. ვებ გვერდზე ფორმების ასახვა</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწორად აღწერს ფორმის ტიპებს და მათ შესაბამის <b>ტიპებს</b></li> <li>2. სათანადო პოზიციაზე განათავსებს ამოცანის შესაბამის ფორმას</li> <li>3. სწორად ასახელებს <b>ფორმის შესაბამის პარამეტრებს</b></li> <li>4. ვებ სტანდარტების შესაბამისად საზღვრავს განთავსებული ფორმის პარამეტრებს</li> </ol>	<p><b>ფორმის ტიპები:</b> form, fieldset, input, textarea, select, option, label</p> <p><b>ფორმის პარამეტრები:</b> action, method (get, post), name, type (text, password, button, File, image, checkbox, radio, reset, submit, hidden), value, maxlength, checked, id, for</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1,3);</li> <li>2. პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება (2,4).</li> </ol>
<p>4. შექმნილი ნამუშევრის ხარისხის უზრუნველყოფა W3C სტანდარტების შესაბამისად</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. აღწერს შექმნილი ნამუშევრის ხარისხის შემოწმების გეგმას</li> <li>2. სწორად ჩამოთვლის <b>წამყვან ბროუზერებსა და</b> კოდის შემოწმების <b>ვებ სტანდარტს</b></li> <li>3. ამოწმებს კოდის შესატყვისობას სხვადასხვა ბროუზერში</li> <li>4. ამოწმებს კოდის ვალიდურობას W3C სტანდარტების შესაბამისად</li> <li>5. აფიქსირებს ბრაუზერებში და კოდის ვალიდაციისას აღმოჩენილ უზუსტობებს/შეცდომებს</li> <li>6. აღმოფხვრის ბროუზერებში და ვალიდაციაში აღმოჩენილ ხარვეზებს/შეცდომებს</li> </ol>	<p><b>წამყვანი ბროუზერები:</b> Google Chrome, Opera, Mozilla Firefox, Safari, Internet Explorer.</p> <p><b>ვებ სტანდარტი -W3C</b> - მსოფლიო ვებ სტანდარტიზაციის კონსორციუმი - (World Wide Web Consortium)</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1,2);</li> <li>2. პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება (5,6);</li> <li>3. შესრულების მტკიცებულება (3,4).</li> </ol>

### III დამხმარე ჩანაწერები:

#### 3.1. საათების განაწილების სარეკომენდაციო სქემა:

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
სწავლის შედეგი 1	3	8	4	2	17
სწავლის შედეგი 2	3	15	5	2	25
სწავლის შედეგი 3	3	15	5	2	25
სწავლის შედეგი 4	1	5	1	1	8
სულ:	10	43	15	7	75

#### 3.2. მოდულის განხორციელების მიდგომები:

მოდული აუცილებელი განხორციელდეს მსმენელთათვის ინდივიდუალური კომპიუტერებითა და ინტერნეტ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობით აღჭურვილ აუდიტორიაში. ტექნიკური უნარის დემონსტრირებისათვის საჭიროა პედაგოგის კომპიუტერი იყოს პროექტორით უზრუნველყოფილი.

„ვებ საიტის მარკირება - html“ მოდულის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს „რასტული გამოსახულების შექმნა და დამუშავება“ და „ტექნიკური ინგლისური“ მოდულების პარალელურად.

მოდულში აღწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად და ტექნიკური უნარების განსავითარებლად აუცილებელია მსმენელი ინდივიდუალურად ასრულებდეს პრაქტიკული დავალებებს. ასევე დამოუკიდებელი სამუშაოს სახით მიეცეს სწავლის შედეგის შესაბამისი პრაქტიკული დავალებები სახლში შესასრულებლად.



3.3. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები:

სწავლის შედეგი	სწავლის შედეგის შესაბამისი სარეკომენდაციო თემატიკა	სწავლების სარეკომენდაციო მეთოდები
სწავლის შედეგი 1	<ul style="list-style-type: none"> <li>- თანამედროვე ვებ ტექნოლოგიები</li> <li>- ვებ მარკირების დანიშნულება და გამოყენების სფერო</li> <li>- კოდის წერის სინტაქსი</li> <li>- კოდის წერის ეთიკა</li> <li>- ვებ გვერდის მაკეტის შექმნის ტეგები</li> <li>- სათაურების ტეგები</li> <li>- აბზაცის ფორმატირების ტეგები</li> <li>- სიების შექმნის ტეგები</li> <li>- სიმბოლოების ფორმატირების ლოგიკური ტეგები</li> <li>- ხაზოვანი და ბლოკური ტეგები</li> <li>- ვებ გვერდის შენახვის ფორმატი</li> <li>- ვებ სტანდარტი</li> </ul>	<p>ლექცია;                      ტექნიკური უნარის დემონსტრირება;                      კეთება ინსტრუქტაჟით;                      პრაქტიკული სავარჯიშო;</p>
სწავლის შედეგი 2	<ul style="list-style-type: none"> <li>- გრაფიკული ობიექტის ფორმატები</li> <li>- ვებ გვერდზე გრაფიკული ობიექტის ასახვის საშუალებები</li> <li>- გრაფიკული ობიექტის პარამეტრები</li> <li>- ბმულის ტიპები და პარამეტრები</li> <li>- ცხრილის ტეგების და მისი პარამეტრები</li> <li>- მულტიმედია ობიექტების ფორმატები</li> <li>- ვებ გვერდზე მულტიმედია ობიექტის ასახვის საშუალებები</li> <li>- მულტიმედია ობიექტის პარამეტრები</li> </ul>	<p>ლექცია;                      ტექნიკური უნარის დემონსტრირება;                      კეთება ინსტრუქტაჟით;                      პრაქტიკული სავარჯიშო;</p>
სწავლის შედეგი 3	<ul style="list-style-type: none"> <li>- ფორმის ელემენტები და მათი ტიპები</li> <li>- ვებ გვერდზე ფორმის ველების ასახვის ტეგები</li> <li>- ფორმის ველების შესაბამისი პარამეტრები</li> </ul>	<p>ლექცია;                      ტექნიკური უნარის დემონსტრირება;                      კეთება ინსტრუქტაჟით;                      პრაქტიკული სავარჯიშო;</p>
სწავლის შედეგი 4	<p>W3C სტანდარტი და ვალიდაციის ინსტრუმენტი</p>	<p>ლექცია;                      ტექნიკური უნარის დემონსტრირება;                      კეთება ინსტრუქტაჟით;</p>

		პრაქტიკული სავარჯიშო;
--	--	-----------------------

**3.4. მოდულის განხორციელების ადგილი**

**3.5. ტექნიკური აღჭურვილობა**

ნაწილი 1. ტექნიკური აღჭურვილობა, რაც საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია საკუთრებაში/მფლობელობაში პროგრამის განხორციელების ძირითად ადგილზე.

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	შენიშვნა
1.	აუდიტორიაში სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	მაგიდის ზომა უნდა უზრუნველყოფდეს კომპიუტერის თავისუფალ განლაგებას	1	პროფესიულ სტუდენტზე
2.	მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი)	მაგიდა ზომებით მინიმუმ 120X60X75	1	სასწავლო ოთახზე
3.	დემონსტრირების ციფრული საშუალებები	პროექტორი ან მონიტორი	1	სასწავლო ოთახზე
4.	კომპიუტერი მასწავლებლისათვის	მინიმუმ 2გჰც პროცესორით, არანაკლებ 4გბ ოპერატიული მეხსიერებით (რეკომენდირებულია SSD ტიპის მყარი დისკი)	1	სასწავლო ოთახზე
5.	კომპიუტერი სტუდენტისათვის	მინიმუმ 2გჰც პროცესორით, არანაკლებ 4გბ ოპერატიული	1	პროფესიულ სტუდენტზე

		მეხსიერებით (რეკომენდირებულია SSD ტიპის მყარი დისკი)		
6.	მონიტორი მასწავლებლისთვის	მინიმუმ 21 დუიმი დიაგონალში, 1080p (1920x1080) რეზოლუციით. (რეკომენდირებულია 2 მონიტორი)	1	მასწავლებელზე
7.	დინამიკები მასწავლებლის კომპიუტერისთვის	სტერეო აუდიო სისტემა კომპიუტერისთვის	1	სასწავლო ოთახზე
8.	მონიტორი სტუდენტებისთვის	მინიმუმ 21 დუიმი დიაგონალში, 1080p (1920x1080) რეზოლუციით. (რეკომენდირებულია 2 მონიტორი)	1	პროფესიულ სტუდენტზე
9.	გარე მყარი დისკი	მინიმუმ 1,5 ტბ	1	სასწავლო ოთახზე
10.	დაფა	მინიმუმ 120X90 ზომის	1	სასწავლო ოთახზე
11.	პრინტერ/სკანერის კომბინი	ქსელური	1	სასწავლო ოთახზე

ნაწილი 2. . ტექნიკური აღჭურვილობა, რაც დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია/ხელმისაწვდომია სასწავლო მიზნებისათვის სასწავლებლის ბაზაზე ან საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე (სასწავლო დაწესებულების ფარგლებს გარეთ) ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე.

- არ საჭიროებს

### 3.6. მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები:

მოდულის სწავლის ოთხივე შედეგის მტკიცებულება გროვდება კომპიუტერებით აღჭურვილ აუდიტორიაში.

პროფესიული განვითარების დინამიკის დანახვისათვის საჭიროა პროდუქტი/შედეგი როგორც მტკიცებულება სტუდენტმა ინდივიდუალური სახით, დამოუკიდებელი სამუშაოს ფორმატით, წარმოადგინოს 2-ჯერ და 1-ჯერ ჯგუფურად ჰქონდეს წარმოდგენილი 3 სტუდენტს.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად პროდუქტი/შედეგი როგორც მტკიცებულება ინდივიდუალურად უნდა წარმოადგინოს 2-ჯერ, მე-2 და მე-4 სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ ცალ-ცალკე.

ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება უნდა წარმოადგინოს 1-ჯერ ოთხივე სწავლის შედეგის მიღწევის შემდეგ.

**3.7. შეფასების რეკომენდებული მიმართულებები და ინსტრუმენტები;**

სწავლის შედეგი	შეფასების მიმართულება		
	პროცესზე დაკვირვება	პროდუქტის/ შედეგის შეფასება	გამოკითხვა
სწავლის შედეგი 1		პრაქტიკული დავალება	ტესტი
სწავლის შედეგი 2		პრაქტიკული დავალება	ტესტი
სწავლის შედეგი 3		პრაქტიკული დავალება	ტესტი
სწავლის შედეგი 4	პრაქტიკული სამუშაო	პრაქტიკული დავალება	ტესტი

**3.8. სარეკომენდაციო ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები:**

<http://www.w3schools.com/html>

**3.9. რეკომენდაციები საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის:**

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების

მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებაში.

**მოდულის განმარტებები:**

№	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია
1		
2		

**რეკომენდაციები მოდულის დამტკიცებასთან დაკავშირებით**

1. მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და, შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და დამტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. თუ მოდულში შევა ცვლილება, გამოიცემა აქტი, რომ შეიცვალა პროგრამის შესაბამისი დანართი.  
თუ მოდული პროგრამის ნაწილი არაა და დაწესებულება მას ცალკე ახორციელებს, როგორც სასერტიფიკატო პროგრამას, ის ცალკე აქტით დამტკიცდება
2. მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია;
4. დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით.კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები (და არა მიმართულებები),

5. 3.1. საათების განაწილება: საათების განაწილებაში საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია ასახოს თავისი მიდგომები (რეკომენდაციებში მითითებული ჩარჩოების ფარგლებში და შესაბამისი არგუმენტაციით). შესაბამისად, დაწესებულების მიერ დამტკიცებული საათების განაწილების ცხრილი იქნება ან ზუსტად ანალოგიური ცენტრის მიერ დამტკიცებული განაწილების, ან საათების განაწილება სხვადასხვა კომპონენტს, ისევე როგორც სწავლის შედეგებს შორის იქნება გადათამაშებული, თუმცა ისე, რომ ჯამში საათების რაოდენობა უნდა უდრიდეს ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში მითითებულს. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება როგორც სტუდენტის დატვირთვის სახეებს შორის (ჰორიზონტალურად), ასევე სწავლის შედეგებს შორის (ვერტიკალურად), თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს). თეორიულ და პრაქტიკულ საათებს შორის გადანაწილება შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ იმ საათების თავდაპირველი რაოდენობის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს, რომელსაც აკლდება საათები.

6. 3.2. მოდულის განხორციელების მიდგომები:

*ფორმულირებები უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ასახავდეს დაწესებულების მიდგომებს. მაგალითად, ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში წერია:*

„მოდული აუცილებელია განხორციელდეს მსმენელთათვის ინდივიდუალური კომპიუტერებითა და ინტერნეტ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობით აღჭურვილ აუდიტორიაში. ტექნიკური უნარის დემონსტრირებისათვის საჭიროა პედაგოგის კომპიუტერი იყოს პროექტორით უზრუნველყოფილი.

„ვებ საიტის მარკირება - html“ მოდულის სწავლება უნდა მიმდინარეობდეს „რასტული გამოსახულების შექმნა და დამუშავება“ და „ტექნიკური ინგლისური“ მოდულების პარალელურად.

მოდულში აღწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად და ტექნიკური უნარების განსავითარებლად აუცილებელია მსმენელი ინდივიდუალურად ასრულებდეს პრაქტიკული დავალებებს. ასევე დამოუკიდებელი სამუშაოს სახით მიეცეს სწავლის შედეგის შესაბამისი პრაქტიკული დავალებები სახლში შესასრულებლად“.

თუ დაწესებულება ამ მიდგომებს ითვალისწინებს, ეს ჩანაწერი სასწავლებლის მიერ დასამტკიცებელ მოდულში ასეთ სახეს მიიღებს:

*„მოდული ხორციელდება მსმენელთათვის ინდივიდუალური კომპიუტერებითა და ინტერნეტ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობით აღჭურვილ აუდიტორიაში. ტექნიკური უნარის დემონსტრირებისათვის პედაგოგის კომპიუტერი უზრუნველყოფილია პროექტორით.*

*„ვებ საიტის მარკირება - html“ მოდულის სწავლება მიმდინარეობს „რასტული გამოსახულების შექმნა და დამუშავება“ და „ტექნიკური ინგლისური“ მოდულების პარალელურად.*

*მოდულში აღწერილი სწავლის შედეგების მისაღწევად და ტექნიკური უნარების განსავითარებლად მსმენელს ეძლევა ინდივიდუალური პრაქტიკული დავალებები. ასევე დამოუკიდებელი სამუშაოს სახით ეძლევა სწავლის შედეგის შესაბამისი პრაქტიკული დავალებები სახლში შესასრულებლად“.*

თუ შემოთავაზებული მიდგომები გაზიარებული არაა, სასწავლებელი თვითონ აყალიბებს საკუთარ მიდგომებს.

7. 3.3. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები: სასწავლებელს შეუძლია თემატიკა შეცვალოს მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგის კონტექსტში, ასევე შეცვალოს სწავლების მეთოდები, საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლების შერჩეული მეთოდები უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის მიღწევის საშუალებას. მისაღწევი სწავლის შედეგების რიგითობის შეცვლა ან მათი შერწყმა ან დაყოფა კატეგორიულად დაუშვებელია, თუმცა შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მ.შ. ერთი ინსტრუმენტით);
8. 3.4. *მოდულის განხორციელების ადგილი: აქ მიეთითება ის ადგილი ან ადგილები, სადაც მოდული ხორციელდება: მისამართი, კორპუსი, ოთახი და სხვა;*
9. 3.5. *ტექნიკური აღჭურვილობა: აქ მიეთითება დაწესებულების მიერ გამოყენებული აღჭურვილობა, რომელიც არ უნდა იყოს ნორმატივში მითითებულ პარამეტრებზე ნაკლები;*
10. 3.6. მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები. ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მტკიცებულებებთან და, ზოგადად, შეფასებასთან დაკავშირებით იხილეთ პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული „შეფასების სახელმძღვანელო“. მტკიცებულებები უნდა იქნას დაცული და ინახებოდეს 5 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.  
თუ მტკიცებულების შეგროვების შეთავაზებულ მიდგომებს სასწავლებელი არ ეთანხმება, შესაძლებელია მისი შეცვლა. აუცილებელი არაა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს. შესაძლოა რამდენიმე ერთდროულადაც შეფასდეს ან ყველა ერთად-მოდულის ბოლოს. ეს მტკიცებულებების შეგროვების მიდგომებში უნდა აღიწეროს.
11. 3.7. ნაწილით განისაზღვრება შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები. თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა, ეს დადგენილია შეფასების სტანდარტით და მისი შეცვლა დაუშვებელია. დაწესებულებას შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი. შეფასებასთან დაკავშირებით იხილეთ პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული „შეფასების სახელმძღვანელო“. მოდული არ მოიცავს შეფასების კონკრეტულ ინსტრუმენტებს. ის მოდულის განმახორციელებელმა პირმა თვითონ უნდა შეადგინოს სასწავლო პროცესის დროს, სახელმძღვანელოში მოცემული პრინციპების

გათვალისწინებით. მთავარია ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.

12. 3.8. გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები: ამ ნაწილში ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. სასწავლებელმა უნდა შეიტანოს მის საბიბლიოთეკო ფონდში დაცული ქალაქში ან ელექტრონულ მატარებელზე არსებული ლიტერატურა, კონსპექტები, ვებ-გვერდები და სხვა წყაროები, რასაც სასწავლებელი გამოიყენებს და სასწავლებლის სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.
13. 3.9. ნაწილი უცვლელად რჩება და მოიცავს რეკომენდაციებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის;
14. მოდულის განმახორციელებელი: აქ ჩაიწერება პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოწვეული სპეციალისტის მონაცემები, რომელიც მოცემულ მოდულს ახორციელებს ან განახორციელებს. შესაძლოა მოდულს ორი ან მეტი პირი ახორციელებდეს. ამ შემთხვევაში მიეთითება ყველა მათგანი.

### მოდულის განხორციელებისათვის მომზადება

მოდული წარმოადგენს პროგრამის კომპონენტს, რომელშიც მოცემულია ყველა ის ინფორმაცია, რაც საგნობრივი პროგრამების ფარგლებში სილაბუსით იყო განსაზღვრული და ამიტომაც სილაბუსები მოდულზე აღარ კეთდება.

მოდულის განხორციელების სწორად დაგეგმვის მიზნით რეკომენდირებულია შედგეს კალენდარული გეგმა კონკრეტული ჯგუფისათვის/სასწავლო წლისათვის. ხარისხის უზრუნველყოფის გარე და შიდა მექანიზმების განხორციელებისას კალენდარული გეგმების არსებობა კარგი მტკიცებულებაა სწორად მოდულის განხორციელების მიდგომების დასადასტურებლად.

ქვემოთ მოცემულია კალენდარული გეგმის სარეკომენდაციო ნიმუში. აღნიშნული ნიმუში არაა სავალდებულო, დაწესებულება უფლებამოსილია სხვა სახის ნიმუში გამოიყენოს.



საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება -----

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება -----

მოდულის კოდი და სახელწოდება: -----

მოდულის კრედიტების რაოდენობა -----

კვირის №	თარიღი დღე, თვე, წელი	სასწავლო დატვირთვის ტიპი	დრო (სთ)	თემატიკა	მოდულის/აქტივობის განმახორციელებელი პირი
		თეორიული მეცადინეობა	1		
		პრაქტიკული მეცადინეობა	2		
		დამოუკიდებელი სამუშაო	1		
		შეფასება	1	სწავლის შედეგი 1	

შედგენილია -----

შეთანხმებულია -----

## პრაქტიკული პროექტის მოდულთან დაკავშირებული რეკომენდაციები

### არჩევით მოდულებთან დაკავშირებული რეკომენდაციები

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები.

ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.

არჩევითი მოდულების ნაწილში მოცემულია იმ მოდულების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის შეიქმნა, აღნიშნული ნაწილი შეიძლება არ შეიცავდეს ასეთ ჩამონათვალს. დაწესებულება უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს შეიძლება იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.

არჩევით მოდულებთან დაკავშირებით ქვემოთ მოყვანილია რეკომენდაციები, რაც დაწესებულებებს დაეხმარება არჩევითი მოდულების არსის სწორად გააზრებასა და, შესაბამისად, მათ შერჩევაში.

### I. არჩევითი მოდულების დანიშნულება

**პროგრამების სტრუქტურაში რეფორმის ერთ-ერთი სიახლე არჩევითი მოდულებია. არჩევითი მოდულების დანიშნულებაა:**

ა) განავრცოს სავალდებულო პროფესიული მოდულის ცოდნა და უნარები სპეციალიზებულ კონტექსტში, ანუ შექმნას დამატებით ვიწრო სპეციალიზაციის შესაძლებლობა.

მაგ. მზარეულისთვის: სენდვიჩების მომზადება<sup>1</sup> (სავალდებულო მოდულებში) და „საბვეის“ სენდვიჩების მომზადება (არჩევითში). შემდუღებლისთვის: შედუღება და შედუღება წყალში<sup>2</sup>

<sup>1</sup>ეს მაგალითები პირობითია, მხოლოდ ილუსტრირებისთვის და არ ეფუძნება არსებული პროგრამების მასალას.

<sup>2</sup>ეს მაგალითი წარმოადგენს ასევე ილუსტრირებას II ნაწილის მესამე პუნქტისთვის

ბ) მოიცვას ისეთი ახალი სპექტრები, რომელიც მოცემულ პროფესიულ სფეროს სხვა სფეროს უკავშირებს; უზრუნველყოს დამატებითი ცოდნისა და უნარების შექმნა მომიჯნავე სპეციალიზაციაში

მაგ. საბავშვო ბაღის აღმზრდელისთვის: მუსიკა, ფერწერა, ძერწვა; თურქეთის მოსაზღვრე და თურქული ინვესტიციებით შექმნილი კომპანიების რეგიონში საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის: თურქული ენა ნებისმიერ პროგრამაში; ტურიზმის მიმართულების პროგრამებში დამატებითი უცხოური ენები, კულტურული ფასეულობების გიდისთვის ნებისმიერ სომელიეს პროგრამის მოდული, რომელიც ქართულ ღვინოებთან არის ასოცირებული, მზარეულის პროგრამიდან ქართული სამზარეულოს მოდულები.

გ) მოიცვას დამატებითი ტრანსფერული საკვანძო უნარები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც შემდგომი პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისთვის (პერსპექტივების გაზრდისთვის), ასევე ადაპტირებისთვის იმ პირობებში, როცა შრომის ბაზარი მუდმივად ცვალებადია (კომპანიებისათვისაც და, შესაბამისად, პიროვნებისთვისაც).

ასეთი შესაძლოა იყოს დამატებით ენები, ინტერკულტურული ურთიერთობები, დროის მენეჯმენტი, IT უნარები (დამატებით) და სხვ.

## II. არჩევითი მოდულების საჭიროება

### არჩევითი მოდულების არსებობა განპირობებულია ბევრი გარემოებით:

#### 1. პროფესიის შიგნით სამუშაოების არაერთგვაროვნებით:

პროფესია წარმოადგენს სამუშაოების ერთობლიობას, რომელთა სპეციფიკური მოვალეობები და ამოცანები დიდი მსგავსებით და თანხვედრით გამოირჩევა, მაგრამ არ არის ერთფეროვანი. მაგ. ბულალტერს სხვა მოთხოვნები აქვს, აუდიტს სხვა.

ლოკაციის მიხედვით სამუშაოების თავისებურებებით: კონკრეტული შრომის ბაზარი კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ მუშახელს. მაგ. აზერბაიჯანულის ცოდნა ძალიან ეხმარება აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ფერმერს პროდუქციის რეალიზაციაში საზღვარგარეთ. კულტურულ გიდს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში სჭირდება მათი ეთნიკური თავისებურებების ცოდნა და შესაბამისი ინტერკულტურული ურთიერთობების კომპეტენციები. კონკრეტულ ერთ საწარმოს (რომელიც აღნიშნული რეგიონის ძირითადი დამსაქმებელია) აქვს კონკრეტული გამტარობის

და სპეციფიკაციების ჩარხი. აღნიშნულ ლოკაციაზე მუშაობს გერმანული კომპანია, რომელიც იყენებს მხოლოდ გერმანულ მასალებს და სხვ.

საწარმოების სიდიდის მიხედვით სამუშაოების თავისებურებებით: მსხვილ საწარმოებს სჭირდებათ დიფერენცირებული სამუშაოები და სპეციალიზაციები, როცა მცირე საწარმოები უკეთ ასაქმებენ გენერალისტებს.

შეუძლებელია ერთ კვალიფიკაციაში დაფარო მთელი მრავალფეროვნება. არჩევითი მოდულები ქმნის ამ მრავალფეროვნების ასახვის შესაძლებლობას ისე, რომ პროგრამები არ გახადოს გადატვირთული და დროში უსასრულოდ გაწელილი.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის/სტუდენტებისათვის გარკვეული თავისუფლების დატოვების აუცილებლობით, რათა სასწავლებლები იყვნენ ავტონომიური, კონკურენტუნარიანი, ჰქონდეთ შესაძლებლობა ადვილად მოერგონ ადგილობრივი შრომის ბაზრისა და კონკრეტული დამსაქმებლების საჭიროებებს. შექმნან მათთვის სასურველი კვალიფიკაციები (კვალიფიკაციებს შესძინონ პიროვნული და სპეციფიური ხასიათი)
3. განვითარებისა და პროგრესისთვის შესაძლებლობების შექმნის საჭიროებებით:  
ღია საგანმანათლებლო რესურსები ყოველთვის არის პროგრესისა და განვითარების წყარო. ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის თავისუფლების მიცემით ვქმნით განვითარების, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიღმა არსებული ინიციატივების გამოვლენისა და ასახვის შესაძლებლობებს.

მეორეს მხრივ, განვითარების ტენდენციების პროგნოზირება და, შესაბამისად, მომზადება ძალიან მნიშვნელოვანია. განათლება ვერ იძლევა მყისიერ შედეგს შრომის ბაზრის ახლადწარმოქმნილ მოთხოვნებზე, რადგან განათლების პროცესი დროში გაწელილია. შრომის ბაზრის მოთხოვნების იდენტიფიცირების შემდეგ მხოლოდ 1-3 წლის შემდეგ გვეყოლება ამ უნარების მქონე კურსდამთავრებულები. შესაბამისად, განათლება უნდა იყოს პროაქტიული, შეძლოს ცვლილებების პროგნოზირება და შესაბამისი პასუხების ინიცირება ჯერ კიდევ საჭიროებების დადგომამდე.

### **III. სპეციალიზებული არჩევითი მოდულების შექმნის საფუძველი**

დაწესებულება ვალდებულია შეარჩოს არჩევითი მოდულების მინიმუმ ის რაოდენობა, რაც პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობის ათვისების საშუალებას მისცემს პროფესიულ სტუდენტს.

მესამე დონის პროგრამებისათვის არჩევითი მოდულების შესაბამისი კრედიტების მინიმალური რაოდენობაა 15, ხოლო მეოთხე და მეხუთე დონეებისათვის – 20.

იმის გამო, რომ მოდულების კრედიტების რაოდენობა განსხვავებულია, შესაძლოა გაჭირდეს ზუსტად 15 ან 20 კრედიტის შევსება. ხელი რომ არ შეეშალოს პროგრამის მიზნებისათვის უფრო ადეკვატური მოდულის შერჩევას, დასაშვებია არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობა 5 კრედიტით აჭარბებდეს არჩევითი მოდულების ლიმიტს. მაგალითად მესამე დონის პროგრამაში იყოს 16, 17 ან მაქსიმუმ 20.

შესაძლოა სტუდენტისათვის არჩევითი მოდულების არჩევის შესაძლებლობას პროგრამა არ იძლეოდეს და სასწავლებელი პირდაპირ სთავაზობდეს არჩევითი მოდულების ამომწურავ ჩამონათვალს დაწესებულებას შეუძლია სტუდენტსაც შესთავაზოს არჩევანი და შეარჩოს იმაზე მეტი მოცულობის მოდულები, ვიდრე ამას პროგრამა ითვალისწინებს.

დაწესებულებას აუცილებლად უნდა გააჩნდეს არჩევითი მოდულის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსი.

არჩევით მოდულებად დასაშვებია პროგრამის დონისაგან განსხვავებული დონის მოდულების გამოყენება. მაღალი დონის პროგრამებში შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაბალი დონის არჩევითი მოდულები. ხოლო დაბალი დონის პროგრამებში – მაღალი დონის მოდულები, თუ დაშვების წინაპირობები (წინმსწრები განათლება ან სხვა მოდული) უზრუნველყოფილია.

დაწესებულება უფლებამოსილია მოახდინოს ახალი არჩევითი მოდულების ინიცირება, რომლის გამოყენებაც დასაშვებია მხოლოდ მათი კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცების შემთხვევაში.

### უცხოური ენის მოდულთან დაკავშირებული რეკომენდაციები

ჩარჩო პროგრამა მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. დაწესებულება უფლებამოსილია შეარჩოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში.

თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს. მაგალითად: თუ სპეციალობის სავალდებულო მოდულია ინგლისური ენა ინფორმაციული ტექნოლოგიებისათვის, ზოგადი უცხოური ენის მოდულიც ინგლისური ენის იქნება.

დაწესებულება უფლებამოსილია არჩევით მოდულებში გაითვალისწინოს სხვა უცხოური ენის ან ენების სწავლებაც, ან უცხოური ენის უფრო მარტივი (დაბალი დონე) ან რთული (მაღალი დონე) მოდულები, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს საშუალება უცხოური ენის სწავლა დაიწყოს მისთვის სასურველ დონეზე და დაასრულოს მისთვის სასურველი დონით.

### პროგრამის მომზადება დასამტკიცებლად

დანართი წარმოდგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმას. მასში წითელი ფერის შრიფტითაა მოცემული ის ნაწილი, რომლის ცვლილებაც დასაშვებია დაწესებულების მიერ, ხოლო მწვანე ფერის შრიფტით - დაწესებულების მიერ შესავსები ნაწილი.

პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის

დამტკიცების გრიფი